ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1618332

ნომერი: AR1269060

თარიღი : 28.11.2014

გაცემის თარიღი : 01.12.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის და დამატების თაობაზე
მოქალაქე ნიკა გიგაშვილმა 28.11.2014 წ. #AR1269060 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 16.08.2010 წ. ქ. თბილისში, გლდანის „ა“ მ/რ, ხიბაზავრის ქუჩის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის

გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო,სპორტული დარბაზი) დაფიქსირება.
სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციის დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 16.08.2010 წ. #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო,სპორტული დარბაზი);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა:
- პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან განახლებული მონაცემებით;
- დაცულ იქნეს სპორტულ–გამაჯანსაღებელი ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი ნორმები და წესები;
- ობიექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე, ტექნოლოგიების გამოყენება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.08.2010 წ. #1212 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.